საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №27

2021 წლის 29 ივნისი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„მუხლი 8. სს „თელასის” ელექტროენერგიის განაწილების ტარიფები

1.	**220/380 ვოლტი:**		
ა)	2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე:		
ა.ა)	მცირე საწარმოებისთვის	-	8.172 თეთრი/კვტსთ;
ა.ბ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-ის ჩათვლით	-	8.172 თეთრი/კვტსთ;
ა.გ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით:	-	8.172 თეთრი/კვტსთ;
ა.დ)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის 301 კვტსთ-დან და მეტი	-	8.172 თეთრი/კვტსთ;
ა.ე)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლები გარდა მცირე საწარმოებისა	-	8.172 თეთრი/კვტსთ;
ბ)	2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე:		
	საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის	-	6.184 თეთრი/კვტსთ;
2.	**3,3-6-10 კილოვოლტი:**		
ა)	2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე:		
ა.ა)	საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	4.324 თეთრი/კვტსთ;
ა.ბ)	არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	4.324 თეთრი/კვტსთ;
ბ)	2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე:		

	საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის	-	2.961 თეთრი/კვტსთ;
3.	**35-110 კილოვოლტი:**		
ა)	2021 წლის 1 ივლისიდან 2024 წლის 1 იანვრამდე:		
	საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	2.411 თეთრი/კვტსთ;
ბ)	2024 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე:		
	საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის	-	0.544 თეთრი/კვტსთ”;

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2021 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი **დავით ნარმანია**
ეროვნული კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი **გიორგი ფრუიძე**
კომისიის წევრი **გიორგი ფანგანი**
კომისიის წევრი **მაია მელიქიძე**